



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 21

27/02/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელის
შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის
განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 53-ე მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების
წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28
აპრილის №220 დადგენილების საფუძველზე ვბრძანებ:

მუხლი 1. განისაზღვროს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის
შეფასებისა და გასაუბრების წესი“ დანართი №1 შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს „კომპეტენციების გაცნობის ოქმის ფორმა“ დანართი №2-ის
შესაბამისად.

მუხლი 3. დამტკიცდეს „შუალედური შეფასების ოქმის ფორმა“ დანართი №3-ის
შესაბამისად.

მუხლი 4. დატკიცდეს „საბოლოო შეფასების ოქმის ფორმა“ დანართი №4-ის
შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის
დღიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.
ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო